ტრენინგ-კურსის დასახელება: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერითი დასაქმება, ქოუჩინგი“

ტრენინგ-კურსის განმახორციელებელი ორგანიზაცია, ხელმძღვანელი: „ასოციაცია ანიკა“, ირინე ინასარიძე

ტრენინგ-პროგრამის ავტორი/ტრენერი: ნინო გორგაძე

ტრენინგ-კურსის მიზანი: მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებისათვის შშმ პირთა მხარდაჭერითი დასაქმების (ქოუჩინგის) ძირითადი პრინციპების შესწავლა;

ტრენინგ-კურსის ამოცანები:

- სამიზნე ჯგუფისთვის შეზღუდული შესაძლებლებლობის მქონე პირთა გაცნობა;
- ეფექტური კომუნიკაციისა და ეტიკეტის ნორმების შესწავლა;
- მხარდაჭერითი დასაქმების მიდგომების გაცნობა და სამუშაო მეთოდოლოგიის მიწოდება;
- მხარდაჭერითი დასაქმების სპეციალისტის სამუშაო სპეციფიკის გაცნობა;
- სამუშაო მაძიებლის მომზადებისა და ინდივიდზე მორგებული პრაქტიკის მნიშვნელობის გააზრება;
- დამსაქმებელთან მჭიდრო მუშაობა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ცნება;
- პრაქტიკული მაგალითებისა და გამოცდილების გაზიარება.

ტრენინგ-კურსის სამიზნე ჯგუფი:

მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტები (ჯობ ქოუჩები) და თემით დაინტერესებული სხვა პირები

ტრენინგ-კურსის ხანგრძლივობა:

6 დღე, დღეში - 5-6 სამუშაო საათი

დღე პირველი

დრო	*თემა*	*მეთოდი*	*აქტივობის აღწერა*	*საჭირო რესურსი*
90 წთ	მისალმება; ჯგუფის გაცნობა; მოლოდინების განსაზღვრა; კურსის წარდგენა და ჯგუფის წესებზე შეთანხმება;	პრაქტიკული სავარჯიშო; დავალება	„ასოციაცია ანიკას“ ხელმძღვანელი ესალმება ტრენინგის მონაწილეებს, აცნობს ორგანიზაციას და კურსის მიზნებს, წარადგენს ტრენერებს. მისალმების შემდეგ, ტრენერი სთავაზობს სავარჯიშოს მონაწილეებს გასაცნობად. აქტივობის დასრულებისას, მონაწილეები წერენ ბარათებზე საკუთარ მოლოდინებს კურსთან დაკაშირებით, ტრენერი აძლევს უკუკავშირს და წარადგენს კურსზე განსახილველ თემებს. მონაწილეები ერთად შეიმუშავებენ ჯგუფის ძირითად წესებს.	ტრენინგ-კურსის გეგმა; ფლიპჩარტი; ფერადი ფურცლები; მარკერები; კალმები; მაკრატელი; ორმაგი სკოჩი/წებოვანი საღეჭი რეზინი; ლეპტოპი; პროექტორი
90 წთ	ვინ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი?	პრეზენტაცია	ტრენერი აცნობს მონაწილეებს შშმ პირს და შეზღუდვის კატეგორიებს, წარუდგენს ჯგუფს ძირითად ცნებებსა და განსაზღვრებებს კანონმდებლობიდან. ასევე ტრენერი განიხილავს შეზღუდული შესაძლებლებლობის შეფასების სამედიცინო და სოციალურ მოდელებს და ამ მიდგომებზე დაფუძნებულ დამოკიდებულებებს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე.	ლეპტოპი; პროექტორი;
60 წთ	სტიგმა და შშმ პირების დისკრიმინაცია;	მინი ლექცია & დისკუსია	ტრენერი საუბრობს იმ სტერეოტიპებისა და სტიგმის შესახებ, რაც საქართველოში ასრებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ. აქცენტს აკეთებს თუ რა გავლენას ახდენს დისკრიმინაცია შშმ პირებზე და როგორი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას. მონაწილეებს აცნობს უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს.	ლეპტოპი; პროექტორი;
90 წთ	თვითრეალიზაციისა და შრომის უფლება შშმ პირებისთვის; შეჯამება	პრეზენტაცია	ტრენერი განიხილავს თვითრეალიზაციის მნიშვნელობას, როგორც ადამიანის უპირატეს მოთხოვნილებას („მასლოუს პირამიდა“), აცნობს შრომის უფლებას სამართლებრივ ჭრილში (საქართველოს კონსტიტუცია, გაეროს შშმ პირთა კონვენცია...) ტრენერი აჯამებს დღის განმავლობაში განხილულ თემებს და წარადგენს მომდევნო დღის გეგმას.	ლეპტოპი; პროექტორი;

დღე მეორე

დრო	*თემა*	*მეთოდი*	*აქტივობის აღწერა*	*საჭირო რესურსი*
90 წთ	წინა დღის მიმოხილვა; ეფექტური კომუნიკაცია	პრეზენტაცია; ჯგუფური სავარჯიშო	ტრენერი განიხილავს წინა დღის თემებს და წარადგენს დღის გეგმას. ტრენერი საუბრობს კომუნიკაციის რაობასა და ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობაზე. საკითხის გასათავისებლად, მონაწილეებს აძლევს ჯგუფურ სამუშაოს.	ლეპტოპი; პროექტორი;
90 წთ	ეთიკა და ეტიკეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მუშაობისას	პრეზენტაცია; ქეისების განხილვა & დისკუსია;	ტრენერი მონაწილეებს აცნობს შშმ პირებთან მოქცევის (და კომუნიკაციის) ეტიკეტს. ტრენერი მონაწილეებს ურიგებს სხვადასხვა ქეისს ეთიკური დილემების შესახებ. მათ უნდა იმსჯელონ რამდენად მართებული გადაწყვეტილებები იქნა მიღებული ქეისების მიხედვით. სავარჯიშოს დასრულებისას, ტრენერი აცნობს მონაწილეებს იმ ძირითად ცნებებსა და ღირებულებებს, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია შშმ პირებთან მუშაობის პროცესში.	ლეპტოპი; პროექტორი; ქეისები;
45 წთ	რა არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერითი დასაქმება?	პრეზენტაცია	ტრენერი საუბრობს შშმ პირებთა მხარდაჭერითი დასაქმების რაობასა და ისტორიის შესახებ. იგი მონაწილეებს აცნობს მხარდაჭერითი დასაქმების ევროპულ „ხუთ-საფეხურიან“ მოდელს.	ლეპტოპი; პროექტორი;
45 წთ	შშმ პირთა მხარდაჭერითი დასაქმების მოდელი საქართველოში		ტრენერი მონაწილეებს აცნობს „ასოციაცია ანიკას“ შშმ პირთა მხარდაჭერითი დასაქმების მოდელს, რომელიც ევროპული მოდელის მოდიფიცირების შემდეგ დაინერგა და წარმატებით მუშაობს.	ლეპტოპი; პროექტორი;
90 წთ	ვინ არის მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტი? (ჯობ ქოუჩი) შეჯამება	პრეზენტაცია & გონებრივი იერიში	ტრენერი საუბობს მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტის რაობაზე. კონსულტანტის როლის გასააზრებლად, ტრენერი მონაწილეებს სთავაზობს სავარჯიშოს, სადაც მათ უნდა იმსჯელონ, თუ რა ცონდა, უნარები და მოვალეობები უნდა ჰქონდეს კონსულტანტს მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე. აქტივობის შემდეგ, ტრენერი შეაჯამებს კონსულტანტის ძირითად ფუნქცია-მოვალეობებს. ტრენერი აჯამებს დღის განმავლობაში განხილულ თემებს და წარადგენს მომდევნო დღის გეგმას.	ლეპტოპი; პროექტორი; ფლიპჩარტი; მარკერები; კალმები;

დღე მესამე

დრო	თემა	მეთოდი	აქტივობის აღწერა	საჭირო რესურსი
90 წთ	წინა დღის მიმოხილვა მომართვა & პირველადი ინტერვიუ სამუშაო მაძიებლთან (1)	პრეზენტაცია	ტრენერი განიხილავს წინა დღის თემებს და წარადგენს დღის გეგმას. ტრენერი მიმოიხილავს მხარდაჭერითი დასაქმების საფეხურებს დეტალურად. აცნობს მომართვისა და პირველადი ინტერვიუს ძირითად პრინციპებს და სამუშაო დოკუმენტს. სთავაზობს მაგალითის სახით სხვადასხვა სამუშაო მაძიებლის პირველადი ინტერვიუს ფორმას.	ლეპტოპი; პროექტორი;
90 წთ	პირველადი ინტერვიუ სამუშაო მაძიებლთან (2)	სამუშაო წყვილებში & დისკუსია	ტრენერი ურიგებს პირველადი ინტერვიუს ფორმებს მონაწილეებს და სთხოვს წყვილებში გაითამაშონ ინტერვიუ დოკუმენტის გასათავისებლად. მონაწილეები განიხილავენ დავალებას, ტრენერი აძლევს უკუკავშირს.	პირველადი ინტერვიუს ფორმები;
60 წთ	სამუშაო მაძიებლის პროფესიული პროფილი (1);	პრეზენტაცია	ტრენერი მონაწილეებს აცნობს პროფესიული პროფილის არსს და სამუშაო დოკუმენტებს.	ლეპტოპი; პროექტორი;
120 წთ	სამუშაო მაძიებლის პროფესიული პროფილი (2) შეჯამება	წყვილებში სამუშაო	ტრენერი მონაწილეებს ურიგებს პროფესიული პროფილის დოკუმენტს და სთხოვს წყვილში ერთმანეთზე შეავსონ, მომდევნო დღეს კი წარადგინონ სამუშაო პრეზენტაციის სახით.	პროფესიული პროფილის დოკუმენტები; კალმები; ფლიპჩარტები; მარკერები.

დღე მეოთხე

დრო	*თემა*	*მეთოდი*	*აქტივობის აღწერა*	*საჭირო რესურსი*
120 წთ	წინა დღის მიმოხილვა სამუშაო მაძიებლის პროფესიული პროფილი (3)	პრეზენტაცია & დისკუსია	ტრენერი განიხილავს წინა დღის თემებს და წარადგენს დღის გეგმას. მონაწილეები წარადგენენ დავალებას პრეზენტაციის სახით, შემდგომ განიხილავენ თუ რა სირთულეები შეექმნათ მუშაობის პროცესში. ტრენერი აძლევს უკუკავშირს.	ფლიპჩარტი; მარკერები; ლეპტოპი; კალმები.
60 წთ	სამუშაო დოკუმენტების შეფასება	დისკუსია & გონებრივი იერიში	ტრენერი სთხოვს მონაწილეებს შეაფასონ რამდენად პრაქტიკულია პირველადი ინტერვიუს და პროფესიული პროფილის ფორმები. სთავაზობს შეიმუშავონ ერთად ალტერნატიული ფორმა.	ფლიპჩარტი; მარკერები; კალმები; ორმაგი სკოჩი;
90 წთ	პროფესიული ორიენტაცია; ინტერესებისა და უნარების კითხვარი	პრეზენტაცია & წყვილში სამუშაო	ტრენერი აცნობს მონაწილეებს პროფესიული ორიენტაციის არსს. ასევე აცნობს ჰოლანდის თვითსაკვლევ კითხვარსა და უნარებისა და ინტერესების კითხვარს. ტრენერი სთხოვს მონაწილეებს კითხვარები შეავსონ წყვილში. აქტივობის შემდეგ, განიხილავენ რამდენად ეფექტურია მათი გამოყენება და რა გზები არსებობს სამუშაო მაძიებლის პროფესიული ორიენტაციისთვის.	ლეპტოპი; პროექტორი; კითხვარები; კალმები
90 წთ	სამუშაო მაძიებლის მომზადება	პრეზენტაცია	ტრენერი მონაწილეებს ესაუბრება სამუშაო მაძიებლის მომზადებასა და კარიერული უნარ-ჩვევების განვითარების მნიშვნელობის შესახებ. იგი მონაწილეებს აცნობს „იმიტირებულ გასაუბრებას“ (ე.წ. „mock interview“), როგორც სამუშაო მაძიებლის მომზადების ეფექტურ ინსტრუმენტს, ასევე განიხლავს დასაქმების ფორუმის მნიშვნელობას.	ლეპტოპი; პროექტორი;
	დღის შეჯამება	სავარჯიშო	დღის ბოლოს ტრენერი აჯამებს თემებს და განიხილავს მომდევნო დღის გეგმას.	

დღე მეხუთე

დრო	*თემა*	*მეთოდი*	*აქტივობის აღწერა*	*საჭირო რესურსი*
60 წთ	წინა დღის მიმოხილვა	დისკუსია	ტრენერი მიმოიხილავს წინა დღეს და წარადგენს დღის გეგმას. ტრენერი აცნობს მონაწილეებს წინა დღეს მათ მიერ შემუშავებული ალტერნატიულ დოკუმენტს ელექტრონული სახით (შესაძლებელია ერთიანი ბაზის შექმნაც);	ლეპტოპი; პროექტორი;
90 წთ	დამსაქმებელთან მუშაობა და სამუშაო ადგილის ანალიზი (1)	პრეზენტაცია & ჯგუფური სავარჯიშო	ტრენერი აცნობს მონაწილეებს დამსაქმებელთან მუშაობის სპეციფიკას. მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება სამუშაო გარემოს მომზადებაზე (იგულისხმება როგორც ფიზიკური გარემოს მორგება, ასევე საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომელთა მომზადება სამუშაო ადგილზე). ტრენერი განიხილავს მონაწილეებთან ერთად სამუშაო ანალიზის კითხვარს და სთავაზობს პრაქტიკულ სავარჯიშოს მის გამოსაყენებლად.	ლეპტოპი; პროექტორი; სამუშაო ანალიზის ფორმები;
30 წთ	დამსაქმებელთან მუშაობა და სამუშაო ადგილის ანალიზი (2)	დისკუსია	მონაწილეები წარადგენენ ჯგუფური სავარჯიშოს შედეგებს და მსჯელობენ რა სირთულეები შეექმნათ ფორმის შევსებისას.	ლეპტოპი; პროექტორი;
60 წთ	მონიტორინგი და მხარდაჭერა სამუშაო ადგილზე	პრეზენტაცია	ტრენერი მონაწილეებს აცნობს მხარდაჭერითი დასაქმების მოდელის ბოლო საფეხურს - მონიტორინგს. იგი მონაწილეებს ესაუბრება სამუშაო ადგილზე (როგორც სამუშაო მაძიებლის, ასევე დამსაქმებელის) მხარდაჭერისა და თითოეული ქეისის ბოლოს შედეგების შეფასების მნიშვნელობაზე.	ლეპტოპი; პროექტორი;
60 წთ	გამოცდილების გაზიარება (მოწვეული სტუმარი - დამსაქმებელი) დღის შეჯამება	პრეზენტაცია; კითხვა-პასუხი	მოწვეული სტუმარი ისაუბრებს შშმ პირთა დასაქმების და ჯობ ქოუჩებთან მუშაობის გამოცდილების შესახებ. ასევე განიხილავს პროცესში წარმოქმნილ გამოწვევებსა და წარმატებებს (შესაძლებელია დისტანციური ჩართვაც). მონაწილეებს ექნებათ კითხვების დასმის შესაძლებლობა. ტრენერი აჯამებს თემებს, აცნობს მომავალი დღის გეგმას.	ლეპტოპი; პროექტორი.

დღე მეექვსე

დრო	*თემა*	*მეთოდი*	*აქტივობის აღწერა*	*საჭირო რესურსი*
90 წთ	წინა დღის მიმოხილვა როგორ მოვამზადოთ CV (რეზიუმე) და სამოტივაციო წერილი	პრეზენტაცია; ჯგუფური სამუშაო	ტრენერი მიმოიხილავს წინა დღეს და წარადგენს დღის გეგმას. ტრენერი (და/ან მოწვეული სტუმარი, HR სპეციალისტი) მონაწილეებს უზიარებს რჩევებს თუ როგორ აუწყონ ფეხი მუდმივად განვითარებად შრომის ბაზარს. მნიშვნელოვანია კონსულტანტები იცნობდნენ CV-ის და სამოტივაციო წერილის მომზადების ძირითად სტრუქტურას, რომ შემდეგ თავად გაუზიარონ რჩევები სამუშაო მაძიებლებს.	ლეპტოპი; პროექტორი; ფლიპჩარტი; მარკერები; თაბახის ფურცლები; კალმები;
30 წთ	გამოცდილების გაზიარება (მოწვეული სტუმარი - დასაქმებული)	დისკუსია	მოწვეული სტუმარი ისაუბრებს საკუთარი გამოცდილების შესახებ. როგორ დაიწო სამუშაოს ძიება, რა ეტაპები გაიარა და რა სირთულეებს წააწყდა მუშაობის პროცესში, განიხილავს ჯობ ქოუჩების ჩართულობასა და მნიშვნელობას.	ლეპტოპი; პროექტორი;
60 წთ	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და შშმ პირები (მოწვეული სტუმარი)	ლექცია; კითხვა-პასუხი	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ცნება ახალია საქართველოში. დამსაქმებელთან მუდმივი თანამშრომლობის პროცესში, მნიშნელოვანია კონსულტანტს ჰქონდეს საბაზო ცოდნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მოწვეული სტუმარი ისაუბრებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და განიხილავს სიტუაციას ამ კუთხით საქართველოში.	ლეპტოპი; პროექტორი;
60 წთ	ტრეინინგ-კურსის შეჯამება	პოსტ-ტესტი	ტრენერები აჯამებენ მთლიან კურსს და შესაფასებლად ურიგებენ მონაწილეებს კითხვარებს. მონაწილეები უზიარებენ საკუთარ უკუკავშირს კურსთან დაკავშირებით და ემშვიდობებიან ერთმანეთს.	კითხვარები; კალმები,